



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 255/ს
07/06/2023

255-21-4-202306071640



მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნავდარაანთკარში შპს „ბ და ბ“-ს 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტზე, ასევე, საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ბ და ბ“-ს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტის, ასევე, საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ბ და ბ“-ს მიერ დაგეგმილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნავდარაანთკარში კომპანიის (ს/კ: 72.04.18.491) და ფ/პ დავით ბერიშვილის (ს/კ: 72.04.41.175) საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (საერთო ფართობი: 13,9159 ჰა) ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანება, ასევე, 2,595 კმ სიგრძის მქონე საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების 2 ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-486197.56, Y-4638489.39; X-486409.55, Y-4638551.32; X- 486370.51, Y-4638711.38; X-486598.49, Y-4638639.73; X-486617.23, Y-4638611.88; X-486621.76, Y-4638599.94; X-486651.25, Y-4638608.59; X-486678.82, Y-4638571.48; X-486675.62, Y-4638533.39; X-486652.50, Y-4638470.97; X-486639.28, Y-4638342.55; X-486644.62, Y-4638293.31; X-486631.34, Y-4638266.42; X-486627.40, Y-4638254.35; X-486460.12, Y-4638272.77; X-486339.23, Y-4638262.13; X-486316.89, Y-4638321.91; X-486290.15, Y-4638322.71; X-486262.82, Y-4638319.14; X-486262.76, Y-4638338.63; X-486250.32, Y-4638379.19; X-486250.42, Y-4638403.55; X-486231.97, Y-4638453.01. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 55 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. თეზამი - 95 მეტრით. ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება წინამური-საგურამო-ცხვარიჭამიას დამაკავშირებელი მაგისტრალური გზა. საპროექტო ტერიტორიაზე გადის შპს

„საქართველოს მელიორაციის“ ბალანსზე არსებული 3,013 მეტრი სიგრძის ბურიანის სარწყავი არხი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია ინდივიდუალური საცხოვრებლის პრინციპით 368 ადამიანზე, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია: 91 საცხოვრებელი (101 148 მ²), რეკრეაციული (15 584 მ²), სატრანსპორტო (21 068 მ²), საინჟინრო (532 მ²) და კომერციული ინფრასტრუქტურის (827 მ²) მიწის ნაკვეთები. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოეწყობა 6 მეტრი სიგანის სამანქანო გზა - 1,5 მეტრიანი ტროტუარით და 1 მეტრიანი გამწვანებული ზოლით. საპროექტო ტერიტორიაზე გამავალი, შპს „საქართველოს მელიორაციის“ ბალანსზე არსებული არხის ორივე მხარეს განთავსდება 4-4 მეტრიანი, რეკრეაციული ზონით დატვირთული, დამცავი არეალები (გასხვისების ზოლი).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი საკანალიზაციო წყლების შეკრების მიზნით მოეწყობა 2,595 კმ სიგრძის მქონე საკანალიზაციო ქსელი, რომელიც დაკავშირებული იქნება 2 ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობასთან. საკანალიზაციო ქსელისთვის გამოყენებული იქნება 200 და 150 მმ დიამეტრის მქონე, „SN-8“ სერიის, გოფირებული მილები. 200 მმ დიამეტრის მქონე მილის ჯამური სიგრძე იქნება 1555 მეტრი, ხოლო 150 მმ დიამეტრის მქონე მილის სიგრძე - 1040 მეტრი. მილები დამონტაჟდება 1.0-3.0 მეტრი სიღრმის თხრილში, ქვიშის ფენილზე (მილის ძირზე 10 სმ, მილის თავზე 30 სმ) და შეივსება გრუნტით. საპროექტო ტერიტორიაზე მოსაწყობი საკანალიზაციო ქსელისთვის განთავსდება 50 ერთეული რკინა-ბეტონის ჭა, საიდანაც 4 ერთეული იქნება 1000 მმ სიმაღლის და 1500 მმ დიამეტრის, ხოლო 46 ერთეული - 1000 მმ სიმაღლის და 1000 მმ დიამეტრის. აღნიშნული ჭები მოეწყობა რკინა-ბეტონის რგოლებით, ძირით, გადახურვითა და თუჯის ჩარჩო-ხუფით. ჭების ძირებზე განთავსდება ქვიშა-ხრეშის მოსამზადებელი ფენა (10 სმ).

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საკანალიზაციო სისტემა დაუკავშირდება ჯამურად 100 მ³ მოცულობის მქონე 2 ერთეულ ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობას, („Biotal“), რომელთა ჯამური წარმადობა შეადგენს 28207,2 მ³/წელ (77,28 მ³/დღ) და გათვლილია 368 ადამიანზე. გამწმენდი ნაგებობები განთავსდება საპროექტო ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან (GPS კოორდინატები X-486383.00, Y-4638693.00), 12 მ² ფართობის მქონე, 200 მმ სისქის რკინა-ბეტონის ფილაზე. ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობებში შეკრებილი ჩამდინარე წყლები თანმიმდევრულად გადაედინება პირველი, მეორე და მესამე საფეხურის რეაქტორებში, სადაც გაივლის ბიოლოგიური გაწმენდის განსაზღვრულ ციკლს და დამუშავების შემდეგ ზონებს: ნარჩენების შესაკავებელი ცხაურა, მიმღები კამერა-დენიტრიფიკატორი, პირველი საფეხურის „SBR-1“ რეაქტორი, მეორე საფეხურის „SBR-2“ რეაქტორი, მესამე საფეხურის „SBR-3“ რეაქტორი, საცირკულაციო ბიოლოგიური ფილტრი, თხელშრიანი სალექარი, საკონტაქტო რეზერვუარი და ჭარბი აქტიური ლამის დამუშავების ზონა (სტაბილიზატორი - ლამის გაუწყლოვნების დანადგარი). საპროექტო გამწმენდ ნაგებობებში ჩამდინარე წყლები, საწყის ეტაპზე, გაივლის მყარი ნარჩენების შესაკავებელ ცხაურას, საიდანაც გადავა მიმღებ კამერა-

დენიტრიფიკატორში, რომელიც გაასაშუალოებს მასში მოხვედრილი ჩამდინარე წყლების არათანაბარზომიერ ჩადინებას. მიმღებ კამერა-დენიტრიფიკატორში მოხვედრილი ჩამდინარე წყლები შეერევა „SBR-3“ რეაქტორიდან უკან დაბრუნებულ აქტიურ ლამს, რომელიც გაჯერებული იქნება ნიტრიტებითა და ნიტრატებით. ანოქსიდურ პირობებში შერევისას მიმდინარეობს დენიტრიფიკაციის პროცესი. სისტემაში შენარჩუნდება აქტიური ლამის აუცილებელი კონცენტრაცია (5-6 გ/ლ), რაც მიიღწევა ავტომატურად და დარეგულირდება მიმღებ კამერა-დენიტრიფიკატორიდან „SBR-1“ რეაქტორში ლამის ნარევის მისაწოდებელი ტუმბოს საჭირო სიმაღლეებზე განთავსებით. „SBR-1“ და „SBR-2“ რეაქტორებში აერაცია განხორციელდება თანმიმდევრული ცვლადი მოქმედების პრინციპით, აქტიური ნარევის რეცირკულაციით ბიორეაქტორებს შორის, ჰიდრავლიკური კავშირების მეშვეობით. „SBR-1“ რეაქტორში, შერევის რეჟიმში, მოხდება მეორე საფეხურის დენიტრიფიკაცია, ხოლო „SBR-2“ რეაქტორში განხორციელდება პირველი საფეხურის ნიტრიფიკაცია. აღნიშნულ რეაქტორებში ჩამდინარე წყლების დამუშავების შემდეგ ლამის ნარევი მიეწოდება „SBR-3“ რეაქტორს, სადაც მიმდინარეობს აერაციის, დალექვის და ჭარბი აქტიური ლამის სტაბილიზაციის პროცესები. საპროექტო გამწმენდ ნაგებობებში ყოველწლიურად მოსალოდნელია 180 მ³ ლამის წარმოქმნა, რომლის ამოტუმბვა განხორციელდება საჭიროებისამებრ, საასენიზაციო მანქანით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე და ჩაშვებული იქნება კონტრაქტორი კომპანიის მიერ შერჩეულ გამწმენდ ნაგებობაში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობების გავლის შემდეგ, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლები იქნება: ჟმ მგO₂/დმ³ ≤ 5-7; ჟქმ მგO₂/დმ³ ≤ 50; ამონიუმი NH₄ მგ/დმ³ ≤ 1; შეწონილი ნაწილაკები ≤ 5-8; კოლი ინდექსი 1000.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობებიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყლები, 300 მეტრი სიგრძისა და 600 მმ დიამეტრის მქონე მილის მეშვეობით ჩაშვებული იქნება მდ. თეზამში (წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X-486643.35, Y-4638729.19).

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვისთვის მოეწყობა სანიაღვრე სისტემა და დაუერთდება 100 მ³ მოცულობის მქონე შემკრებ რეზერვუარს, რომელიც განთავსდება საპროექტო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობების გვერდით (პარამეტრები: 8მX2მX6.25მ; GPS კოორდინატები: X-486393.43, Y-4638697.89). სანიაღვრე სისტემის მოსაწყობად გამოყენებული იქნება ჯამურად 1792 მ სიგრძის, სხვადასხვა დიამეტრის (250, 300, 400, 500, 600 მმ) მქონე, „SN-8“ სერიის მილები და რკინა-ბეტონის კონსტრუქციის საკონტროლო ჭები - თუჯის ოთხკუთხა ჩარჩო-ხუფით. მილები დამონტაჟდება ქვიშის ფენილზე, ხოლო მილების განსათავსებლად მოწყობილი თხრილი შეივსება გრუნტით. სანიაღვრე წყლების შემკრები რეზერვუარი 600 მმ დიამეტრის მქონე გოფირებული მილით დაუკავშირდება ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობებიდან გამომავალ მილსადენს და ჩაშვებული იქნება მდ. თეზამში.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დაყოფილია 3 ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავს საპროექტო მიწის ნაკვეთების დაყოფასა და დაკვალვას, მეორე ეტაპი მოიცავს გზებისა და კომუნიკაციების (საკანალიზაციო, სანიაღვრე, წყალმომარაგების სისტემები და სხვა.) განთავსებას, ხოლო მესამე ეტაპი მოიცავს რეკრეაციის მოწყობასა და გამწვანებით სამუშაოებს. სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული იქნება: 6 ერთეული სატვირთო, 4 ერთეული ტრაქტორი, 2 ერთეული ექსკავატორ-ჩამტვირთველი, 2 ერთეული გრუნტის სატკეპნი, 2 ერთეული სატვირთველი, ასფალტის ან ბეტონის დამგები. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 5 თვეს და დასაქმდება დაახლოებით 50 ადამიანი. რაც შეეხება უშუალოდ ინდივიდუალური საცხოვრებლების მშენებლობას, აღნიშნული განხორციელდება მომავალი მესაკუთრეების მიერ ეტაპობრივად, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვების საფუძველზე.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სამშენებლო ბანაკის განთავსება გათვალისწინებული არ არის. სამშენებლო სამუშაოებში დასაქმებული პერსონალისთვის მოეწყობა დროებითი ინფრასტრუქტურა (ე.წ. „სენდვიჩპანელებით“ აწყობილი კონსტრუქცია). დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით წყალმომარაგება მოხდება შესაბამისი ტექნიკითა და წყლის რეზერვუარებით, ხელშეკრულების საფუძველზე. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება ბიოტუალეტებში. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, საცხოვრებელი კომპლექსის წყალმომარაგება განხორციელდება ტერიტორიაზე არსებული (GPS კოორდინატები: X-486241.26, Y-4638478.16) და საპროექტო (GPS კოორდინატები: X-486487.3475, Y-4638550.0274) ჭაბურღილებიდან, შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე. აღნიშნული ჭაბურღილებიდან მოპოვებული წყალი დაგროვდება 300 მ³ მოცულობის მქონე ბეტონის რეზერვუარში (GPS კოორდინატები: X-486499.2143, Y-4638517.0447), საიდანაც ჯამურად 4370 მეტრი სიგრძის და სხვადასხვა დიამეტრის (25, 32, 50, 63, 90, 110 მმ) მქონე მილებით განაწილდება მომხმარებელამდე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე, მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა, მიწის სამუშაოების შედეგად მტვრის და მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის გამონაბოლქვის სახით. საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროების გამოყენება არ იგეგმება. მშენებლობისათვის საჭირო მასალების სამშენებლო მოედანზე შეტანა განხორციელდება მზა სახით. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის (5 თვე) გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დროებითი და არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე, ხმაურის და ვიბრაციის

გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის (5 თვე) გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება იქნება დროებითი და არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე, მდ. თეზამის და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებებიდან, გაუმართაობის გამო, ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედნებზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. საკვლევ არეალში გაყვანილი იქნა 6 მეტრი სიღმის 2 ჭაბურღილი. საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელებული ბურღვითი სამუშაოების შედეგად, გრუნტის წყლები არ გამოვლენილა და მისი გავრცელება 20 მ-ის სიღრმემდე არ არის მოსალოდნელი. შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით, საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილია 2 ძირითადი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე). სგე-1 წარმოდგენილია მყარი კონსისტენციის თიხით, ხოლო სგე-2 მსხვილნატეხოვანი, კენჭნაროვანი გრუნტით. საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. საპროექტო ტერიტორიაზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა.) არ არის განვითარებული.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნება დაახლოებით 6 000 მ³ მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომლის მართვა მოხდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ, მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება საპროექტო ტერიტორიის რეკულტივაციისათვის. რაც შეეხება დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების პროცესში ექსკავირებულ გრუნტს (10 000მ³) - სრულად იქნება გამოყენებული უკუყრისთვის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად, რისთვისაც საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება შესაბამისი კონტეინერები. ნარჩენების გატანა უზრუნველყოფილი იქნება, ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი ნებართვის მქონე

კომპანიის მიერ. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, ადგილი ექნება მუნიციპალური ნარჩენების და ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობებში ლამის წარმოქმნას. მუნიციპალური ნარჩენების მართვა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობებში დაგროვილი ლამი, დაგროვების შესაბამისად, გატანილი იქნება საასენიზაციო მანქანით, ხელშეკრულების საფუძველზე და ჩაშვებული იქნება კონტრაქტორი კომპანიის მიერ შერჩეულ გამწმენდ ნაგებობაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით შემუშავებული და შეთანხმებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების დეტალური გეგმა. განაშენიანების დეტალური გეგმები თავისი სპეციფიკით თითქმის იდენტურია და მათი განხორციელებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების მუშაობასთან. აღსანიშნავია, რომ კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი ექნება ორივე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების ერთდროულად განხორციელების შემთხვევაში. ამასთან, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება იქნება დროებითი და დაგეგმილი საქმიანობების მასშტაბებისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხე-მცენარეული საფარის ჭრა გათვალისწინებული არ არის. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ განხორციელდება საპროექტო ტერიტორიის რეკულტივაციისა და გამწვანების სამუშაოები, რომლის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე დაირგვება მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული დენდროლოგიური პროექტით გათვალისწინებული ხე-მცენარეები. დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას და მასზე განთავსებული იყო მესაქონლეობის ფერმა. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს წიწამური-საგურამო-ცხვარიჭამიას დამაკავშირებელ მაგისტრალურ გზასა და დასახლებულ პუნქტებს შორის, რაც მსხვილი ძუძუმწოვრების საბინადროდ ქმნის არახელსაყრელ გარემოს. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილია ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოამედების შემარბილებელი ღონისძიებები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების


ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.1, მე-9 პუნქტის 9.2 და 9.6 და მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნავდარაანთკარში შპს „ბ და ბ“-ს 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი, ასევე, საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ბ და ბ“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბ და ბ“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბ და ბ“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

